საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური
TBILISI CITY SERVICE

N 09-2/11632
15/11/2017

11632-09-2-2-201711151041

საქართველოს სტრატეგიული კვლევის

და განვითარების ცენტრის პროგრამის

კოორდინატორს ვ. კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

2017 წლის 9 ნოემბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურში შემოვიდა თქვენი N18093 წერილი, რომლის თანახმად ითხოვდით რიგ განმარტებებს ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილი“-ს („ბლექ სი ჯორჯია“) და ი/მ „თინა ბეგლარიშვილი“-ს სანელებლების წარმოებების თაობაზე.

ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილთან“ დაკავშირებით კვლავ გაცნობეთ, რომ ნედლეულს ღებულობდა ი/მ „თინა ბეგლარაშვილი“-ს სანელებლების საწარმოდან, რომლის ნიმუშებშიც (აღებული სახელმწიფო მონიტორინგის ფარგლებში) დადგინდა მძიმე მეტალით (ტყვიით) დაბინძურების ფაქტი.

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ი/მ „ბაგრატ მეზურნიშვილს“ დაევალა, ქსელიდან გამოეთხოვა ტყვიით დაბინძურებული, მის მიერ წარმოებული ყვითელი ყვავილი-ზაფრანა (გამოშვებული 08.06.2017წ. ვადით 18 თვე), რომელიც ჩვენს მიერ, პროდუქციის ქსელიდან გამოთხოვის შემდეგ, განადგურებული იქნა 10.11.2017წ. კანონმდებლობის სრული დაცვით.

რაც შეეხება ი/მ „თინა ბეგლარაშვილი“-ს სანელებლების საწარმოში (მდებარე მეველის ქ.#26) სახელმწიფო კონტროლი-არაგეგმიური ინსპექტირება განხორციელდა 26.07.2017წ. გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობების გამო ბიზნესოპერატორს დღემდე შეჩერებული აქვს წარმოების პროცესი და მიმდინარეობს მოკვლევა. აღნიშნული მომენტისთვის, ი/მ „თინა

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ბეგლარიშვილი“ სანელებლებით ვაჭრობას ახორციელებს შპს „ნავთლუღი“-ს (მდებარე მეველისქ. #3) აგრარულ ბაზარში. ბიზნესოპერატორმა სააგენტოს დავალებით, სარეალიზაციოდ განთავსებულ სანელებლებზე, წარმოდგინა ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

პატივისცემით,

ვასილ ბასილაძე

სამსახურის უფროსი